სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი

„ამომრჩეველთა ინფორმირება მარტვილში“

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

CSDDC

საკონკურსო თემატიკა - „ამომრჩეველთა ინფორმირება 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის“

CSDDC

ა.(ა.)ი. პ. „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ პროექტის „ამომრჩეველთა ინფორმირება მარტვილში“ მიზნები გახლდათ:

ა) მარტვილის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების დონის ამაღლება;

ბ) ამომრჩეველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის და საარჩევნო აქტივობის ზრდა;

გ) 2015 წლის ოქტომბერში პარლამენტის შუალედურ არჩევნებში ამომრჩევლის გააქტიურების ხელშეწყობა;

CSDDC

პროექტის ამოცანები გახლავთ:

ა) მარტვილის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებისათვის საარჩევნო პროცესების და არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ბ)საჯარო შეხვედრების მოწყობა და სპეციალურად მათთვის დაბეჭდილი ფლაერების, კალენდრების და კალმების გადაცემა.

გ) ამომრჩევლებისთვის არჩევნების, კენჭისყრის დღის პროცედურების დეტალური ახსნა, სპეციალური სასწავლო ფილმის (ცესკოს მიერ გადაღებული) ჩვენება და მოდელირებული არჩევნების ჩატარება;

დ) ამომრჩევლებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება საქართველოში სახელმწიფო მოწყობის და არჩევითი ორგანოების ფორმირების წესზე; საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრების არჩევის წესის და მათი უფლებამოსილების შესახებ. ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპების და მათი რეალიზების მექანიზმების შესახებ.

CSDDC

პროექტით გათვალისწინებული და დაგეგმილი იყო N65 მარტვილის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან 37 საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება, თუმცა საბოლოო ჯამში ჩატარდა 47 შეხვედრა, 39 შეხვედრა ამომრჩევლებთან, მარტვილის ოლქის ყველა 39-ვე საარჩევნო უბნის მიხედვით და 8 შეხვედრა, 8 საშუალო სკოლის მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეებთან

სულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 672 ამომრჩეველმა(მათ შორის 379 ქალი 56.39 %) და 155 მოსწავლემ (მათ შორის 86 გოგონა 55.48%)

CSDDC

550-ზე მეტს ამომრჩეველს, რომელიც არ ესწრებოდა შეხვედრებს, ავტო-ტურების ჩატარების დროს (ავტო-ტური ჩატარდა მთელი მარტვილის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყველა სოფელში და დასახლებულ პუნქტში, შეხვედრების დაგეგმვის და ჩატარების დროს) დამატებით გადაეცა კალენდრების, საინფორმაციო ფლაერების და კალმების გარკვეული რაოდენობა, მათი ოჯახის წევრებისა და მეზობლებისთვის გადასაცემათ.

CSDDC

სულ დაიბეჭდა და დარიგდა 4000 ცალი კალენდარი რომელზედაც განთავსებული იყო 2015 წლის 3 თვის და 2016 წლის კალენდარი, 4000 ცალი საინფორმაციო ფლაერი, სადაც დეტალურად იყო გაწერილი კენჭისყრი დღის პროცედურები, ამომრჩევლის უფლება-მოვალეობები და 3000 ცალი კალამი რომელზეც იყო წარწერა „31 ოქტომბერი არჩევნების დღეა“

CSDDC

სასწავლო ფილმს ჩვენებას დაესწრო 500-მდე ამომრჩეველი და მოსწავლე, ხოლო მოდელირებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 400-ზე მეტმა ამომრჩეველმა და მოსწავლემ.

CSDDC

არჩევნებში მონაწილეობა 13 744 ამომრჩეველმა მიიღო და აქტივობამ 39.99 % შეადგინა. ვფიქრობთ, რომ ამ საქმეში საკუთარი მოკრძალებული წვლილი პროექტის წარმატებით განხორციელებამაც შეიტანა.

CSDDC

მადლობა ყურადღებისთვის!